

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2011 წლის 21 ოქტომბრის სხდომის
ოქმი №15

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 26. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: ჩემი ინიციატივით, საჭიროდ ჩავთვალე მეთხოვა ბატონ მამუკა სონღულაშვილისათვის მობრძანებულიყო დღეს წარმომადგენლობით საბჭოზე. იგი გახლავთ რექტორის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში და ამავე დროს თავმჯდომარეობს კომისიას, რომელიც იხილავს დისციპლინურ და ეთიკის ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებს. დღეს ბატონი მამუკა გაგვაცნობს, თუ რა რეგლამენტით მუშაობს კომისია, რას ეყრდნობა მისი საქმიანობა და რა გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს მას.

ბ-ნი მამუკა სონღულაშვილი: მოგახსენებთ, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა დისციპლინური კომისია, რომელსაც დაევალა განეხილა ელექტრონული აღრიცხვის შედეგები და შესაბამისი წინადადებებითა და რეკომენდაციებით მიემართა რექტორისათვის. ადრე აკადემიური საბჭოს დადგენილება მოიცავდა დისციპლინური სახდელის სახეებს, სადაც მითითებული იყო ასეთი ჩამონათვალი: მითითება, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ეს შემთხვევები აღრიცხული იყო 6-7 რაოდენობით. აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით შეიქმნა 12-კაციანი კომისია და მე დამევალა ამ კომისიის თავმჯდომარეობა. ჩვენ შევიმუშავეთ რეგლამენტი, რომელიც შევეცადეთ გაგვემარტივებინა, რათა გადაწყვეტილებების მიღება ყოფილიყო ეფექტიანი და სწრაფი და შევუდექით დაგროვილი ემპირიული მასალის დამუშავებას. მოკლედ

წარმოგიდგინებთ 2010-1211 წლის მეორე სემესტრის ბოლო 6 კვირის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის მონაცემების სტატისტიკას, რომელიც კომისიის მიერ იქნა შედგენილი. ამ დროის განმავლობაში კომისისამ ჩაატარა 7 სხდომა, განიხილა 260 პროფესორ-მასწავლებლის მონაცემები, რომლებიც აღრიცხული იყო ელექტრონულ სისტემაში. გარდა ამ მონაცემებისა, ჩვენ მიერ განხილულ იქნა შესაბამისი ფაკულტეტების ხელმძღვანელთა მოხსენებითი და თვით ამ პროფესორ-მასწავლებელთა ახსნა-განმარტებითი ბარათები და შესაბამისი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. შემდგომ ამისა, ჩვენ წინადადებით შევედით რექტორთან, რომელმაც აღნიშნული საკითხი გააცნო აკადემიურ საბჭოს. კერძოდ, იყო 7 ფაკულტეტის მონაცემი 260 თანამშრომლის მიმართ. აქედან 113 თანამშრომლის მიმართ კომისიამ ჩათვალა, რომ ეს იყო საპატიო გაცდენა ან მცირე მნიშვნელობის გაცდენა ან სხვა მიზეზით იყო მოშლილი შრომითი ხელშეკრულება. 107 თანამშრომლის მიმართ რეკომენდაცია იყო გაფრთხილების გამოცხადების შესახებ, 39 თანამშრომლის მიმართ საყვედურის გამოცხადებისა, ხოლო 1 თანამშრომლის მიმართ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა. უნდა მოგახსენოთ, რომ აკადემიური საბჭოს ახალი დადგენილებით გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხებთან მიმართებაში მკვეთრად შეიცვალა, კერძოდ 10%-მდე არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, სამომავლოდ გათვალისწინებული არის გაფრთხილების გამოცხადება, 20%-მდე არასაპატიო მიზეზით გაცდენისას – საყვედურის, ხოლო 20%-ის ზევით გაცდენის შემთხვევაში გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულების მოშლის რეკომენდაციით მიმართვის გადაწყვეტილება. სამომავლოდ ამ ელექტრონული აღრიცხვის შედეგების განხილვა მოხდება მეტად უფრო მკაცრი რეგლამენტით, ვიდრე ეს გასული წლის მეორე სემესტრის ბოლო 6 კვირის შედეგებზე იყო გათვალისწინებული. 28 თანამშრომელი ჩვენ კომისიის სხდომაზე პერსონალურად მოვიწვიეთ, რადგან მხოლოდ ელექტრონული აღრიცხვის სისტემით მიღებული მონაცემები არ გახდა საკმარისი რაიმე სახის გადაწყვეტილებაზე ემსჯელა კომისიას.

პროფ. გენადი იაშვილი: ბატონო მამუკა, მაინტერესებს რამდენად არის გათვალისწინებული დეკანებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების შეხედულება და დახასიათება ამ ადამიანებთან მიმართებაში?

მამუკა სონღულაშვილი: ყველა იმ 28 შემთხვევის გამო, როდესაც ვერ მივიღეთ საკმარისი ინფორმაცია რაიმე რეკომენდაციის შესამუშავებლად, მოვიწვიეთ იმ ფაკულტეტების ხელმძღვანელები, რომელთა პროფესორ-მასწავლებლების საკითხსაც ვიხილავდით და გარდა ამისა, კონკრეტულად მოვისმინეთ, თითოეული ფაკულტეტის დეკანის ინფორმაცია, შევეცადეთ გამოგვეყენებინა როგორც მათი ზეპირი ახსნა-განმარტებები, ასევე მანამდე გაკეთებული წერილობითი სახის ყველა დოკუმენტაცია, კერძოდ მოხსენებითი ბარათები, ახსნა-განმარტებითი ბარათები და განცხადებები, ამას დამატებული ელექტრონული აღრიცხვის სისტემა. ვაკონკრეტებ: მხოლოდ ტექნიკური საშუალებებით აღრიცხვა ლექცია-სემინარების გაცდენა არ გაცდენისა, არ არის საკმარისი მიიღო ობიექტური გადაწყვეტილება.

სპიკერი: ბევრი პრობლემა მოიხსნება თუ აღნიშნულ პროგრამაში დეკანს ექნება იმის საშუალება, რომ დააფიქსიროს, რომელი გაცდენაა საპატიო. თუმცა ასეთ შემთხვევაში დეკანს გაეზრდება პასუხისმგებლობა. თუ ჩვენ ახალი საწავლო წლიდან იმ კრიტერიუმებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ახლა ბატონმა მამუკამ მოგვახსენა, გაცილებით მეტი წერიგი დამყარდება სტუ-ში.

ბატონ მამუკა სონღულაშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სასტიპენდიო კომისიის მიერ სწავლის საფასურისგან გასათავისუფლებელ სტუდენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მოგახსენებთ, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, მომზადებულ იქნა გარკვეული საკითხები წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად, რომელნიც ასევე განხილულია საფინანსო კომისიაზე. პირველი საკითხი გახლავთ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის №401 დადგენილება, რომელიც ეხება სასტიპენდიო კომისიის მიერ შერჩეულ სტუდენტებს, სწავლის საფასურისგან მათი გათავისუფლების მიზნით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მინდა ერთი შენიშვნა გამოვთქვა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რომელ კატეგორიას ეუწევთ დახმარებას, ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მომავალში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №15 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სასტიპენდიო კომისიის მიერ სწავლის საფასურისგან გასანთავისუფლებელ სტუდენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა სასტიპენდიო კომისიის მიერ შერჩეულ სტუდენტთა ნუსხა, მათი სწავლის საფასურისგან განთავისუფლების მიზნით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – საგურამოს ექსპერიმენტული ბაზის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერის, დემონტაჟის, რეკონსტრუქციისა და აღნიშნულის შედეგად მიღებული ჯართისა და სხვა მასალების რეალიზაციის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოხდეს დემონტაჟი და შემდგომ რეალიზაცია მათ სახელზე რიცხული ამორტიზებული ქონების ნაწილისა, კერძოდ:

1. ხის სამი ცალი კოტეჯი (ნაგებობა №9, №10 და №11) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;
2. ანტენის ასაწყობი საამქრო (ლითონის კონსტრუქცია №7) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;
3. დამხმარე ნაგებობა (ნაგებობა №4) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;
4. საყარაულო ჯიხური (ნაგებობა №13) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;
5. ჰიდროაუზი (ნაგებობა №2) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;
6. ანტენის აწყობისა და ტესტირების სტენდი (ნაგებობა №6) – რეკონსტრუქცია.

ამავე საბჭომ ჩაატარა კვლევა, მოიწვია ექსპერტები, დაადგინა ჩამოსაწერი ქონების სავარაუდო ფასი, თუმცა აუქციონზე ეს სასტარტო ფასი იქნება. აღნიშნულ ინსტიტუტს ამ თანხის გამოყენება უნდა იმ დანადგარების აღდგენისათვის, რომლებიც სამომავლოდ გამოსადეგია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ საფინანსო კომისიაზე, ყველა კანონი დაცულია და ექსპერტიზაც ჩატარებულია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №15 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საგურამოს ექსპერიმენტული ბაზის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერის, დემონტაჟის, რეკონსტრუქციისა და აღნიშნულის შედეგად მიღებული ჯართისა და სხვა მასალების რეალიზაციის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიჩნია რა წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილად, დაამტკიცა საკითხი საგურამოს ექსპერიმენტული ბაზის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერის, დემონტაჟის, რეკონსტრუქციისა და აღნიშნულის შედეგად მიღებული ჯართისა და სხვა მასალების რეალიზაციის შესახებ ქვემოთ მოყვანილი ქონების ნუსხის გათვალისწინებით:

- 1. ხის სამი ცალი კოტეჯის (ნაგებობა №9, №10 და №11) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;*
- 2. ანტენის ასაწყობი საამქროს (ღითონის კონსტრუქცია №7) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;*
- 3. დამხმარე ნაგებობის (ნაგებობა №4) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;*
- 4. საყარაულო ჯიხური (ნაგებობა №13) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;*
- 5. ჰიდრობასეინი (ნაგებობა №2) ჩამოწერა – დემონტაჟის მიზნით;*
- 6. ანტენის აწყობისა და ტესტირების სტენდის (ნაგებობა №6) რეკონსტრუქცია.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტი დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყანაში სპორტის განვითარებას და აქცენტები კეთება უმაღლეს სასწავლებლებზე, რა თქმა უნდა ტექნიკურ უნივერსიტეტზეც, მითუმეტეს რომ სტუ-ს ყოველთვის ჰქონდა სპორტში წარმატება. ამ მიზნით არაერთი სპორტული გუნდია შექმნილი ჩვენს უნივერსიტეტში. დღეს გვექნება საუბარი კალათბურთთან დაკავშირებით, კერძოდ, სტუ-ს საკალათბურთო გუნდის ეროვნულ ჩემპიონატში (სუპერლიგა) და ასაკობრივ ჩემპიონატში (16, 18 და 20 წლამდე) მონაწილეობისათვის საჭიროა დაფინანსება, რომელიც განხორციელდება სტუ-ს დამტკიცებული ბიუჯეტის ფასიანი სწავლების გრაფიდან, კერძოდ, სუბსიდიების მუხლიდან, რომლის ხარჯვითი ნაწილიც განხორციელდება და აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში:

- 1) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 100 000 ლარი (ოთხი თვე);
- 2) საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ხარჯების მუხლში – 39 956 ლარი (საწევროს გადასახადი);
- 3) ეკიპირება (უნიფორმების შექმნის ხარჯები) – 16 000 ლარი;
- 4) მივლინებები – 5 000 ლარი.

სულ ჯამში – 160 956 ლარი გადატანილ უნდა იქნეს სუბსიდიების მუხლიდან ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციის მუხლებში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: რა თქმა უნდა, სპორტის განვითარებას უნდა დაეუჭიროთ მხარი, მაგრამ, ალბათ, შემდგომ კიდევ განვიხილავთ არაერთ პროექტს, რომლითაც ძალიან იზრდება ჩვენი ხარჯები და შეიძლება პრობლემები შეგვექმნას ბიუჯეტთან დაკავშირებით.

სპიკერი: ბატონ ბორისს აქვს საკითხი წარმოსადგენი, კვლავ სპორტთან დაკავშირებით და, გთხოვთ, მოვუსმინოთ.

სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ბორის გითოლენდია: რაც შეეხება სპორტს გეტყვით, რომ თითქმის 15 წელია ტექნიკურ უნივერსიტეტს უნივერსიადა არ მოუგია, ხოლო ახლა მოვიგეთ და ვართ მოქმედი ჩემპიონები, კალათბურთში სტუდენტური ლიგის გამარჯვებულები, ამ ეტაპზე ყველა გუნდურ სახეობაში ვართ გამარჯვებული. ახლა კი გვინდა წარმოგიდგინოთ საკითხი, რომელიც ეხება დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებას, კერძოდ: კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის ხარჯების მუხლიდან 4 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი

ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების სპორტული უნიფორმის შეძენის მუხლში, ასევე, სპორტული ღონისძიებების და სტუდენტთა სოციალური პროგრამების მუხლიდან 14 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების სპორტული უნიფორმის შეძენის მუხლში.

სპიკერი: ბატონო ბორის, სპორტში რომ ასეთი წარმატებები გვაქვს, რატომ არის ასეთ დაბალ დონეზე საზოგადოების ინფორმირება?

ბორის გითოლენდია: ჩვენს დეპარტამენტში დამტკიცდა ე.წ. ინბუპატორი, სადაც ყველა ინფორმაციას განვითავსებთ.

პროფ. დავით ჯაფარიძე: კარგი იქნება ამ ყველაფრის გაშუქება მოხდეს ტელევიზიით.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა კიდევ ერთი საკითხი წარმოგიდგინოთ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, სტუ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო დაფინანსების გრაფაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება: სუბსიდიების მუხლიდან – 443 118 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასების პუნქტში აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების დაფინანსების მიზნით, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ფასიანი სწავლების გრაფიდან, შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლიდან – 443 118 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლში, კერძოდ: ქონების გადასახადის პუნქტში – 47 000 ლარი, მოგების გადასახადის პუნქტში – 310 200 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლის ელექტროენერჯის ხარჯების პუნქტში – 85 918 ლარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: კომისიაზეც ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო: ეს საკითხი ძალიან მაწუხებს და დღეს ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მოგების გადასახადი საერთოდ არ უნდა გადავიხადოთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტობრის №15 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სუბსიდიების მუხლიდან – 443 118 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, ხელფასების პუნქტში აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების დაფინანსების მიზნით, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ფასიანი სწავლების გრაფიდან, შრომის ანაზღაურების ხელფასების მუხლიდან 443 118 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლში, კერძოდ: ქონების გადასახადის პუნქტში 47 000 ლარი, მოგების გადასახადის პუნქტში 310 200 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლის ელექტროენერჯის ხარჯების პუნქტში 85 918 ლარი.
2. სუბსიდიების მუხლიდან, რომლის ხარჯვითი ნაწილიც განხორციელდება და აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგ მუხლში:
 - 1) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 100 000 ლარი (ოთხი თვე);
 - 2) საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ხარჯების მუხლში – 39 956 ლარი (საწევროს გადასახადი);
 - 3) ეკიპირება (უნიფორმების შეძენის ხარჯები) - 16 000 ლარი;
 - 4) მივლინებების – 5 000 ლარი.სულ ჯამში 160 956 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიების მუხლიდან ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციის მუხლებში.
3. კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის ხარჯების მუხლიდან – 4 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების სპორტული უნიფორმის შეძენის მუხლში.
4. სპორტული ღონისძიებების და სტუდენტთა სოციალური პროგრამების მუხლიდან 14 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების სპორტული უნიფორმის შეძენის მუხლში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც დღის წესრიგით არ არის გათვალისწინებული. ეს გახლავთ სტუ-ს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის პროფ. ზ. ლომსაძის მოხსენებითი ბარათი. მათ თანამშრომელს ქალბატონ რუსუდან ფირცხალავას მიენიჭა სწავლული მდივნის სტატუსი, რის გამოც, ინსტიტუტის და

არა საუნივერსიტეტო ბიუჯეტის ფარგლებში, ითხოვენ, რომ ყოველთვიური ანაზღაურების სახით მიეცეს 195 ლარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №15 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის პროფ. ზ. ლომსაძის მოხსენებითი ბარათის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე (სწავლული მდივნის საშტატო თანამდებობის შემოღებამდე), ონ რუსუდან ფირცხალავას, რომელიც გარდა დაკავებული თანამდებობისა ასრულებს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივნის ფუნქციებს, ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე დაენიშნოს სახელფასო დანამატი 195 ლარის ოდენობით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: სტუ-ს კერძო იურიდიულ პირად გადასვლასთან დაკავშირებით იქნებ გაგვიმარტოთ, რა ბედი ეწევა იჯარით გაცემულ ფართებს? არის ინფორმაცია, რომ მოიჯარეები აპირებენ ეს ფართები გაიფორმონ უზუფრუქტის წესით და ჩამოაცილონ უნივერსიტეტს. მაქვს წინადადება, რომ შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის, შედეგებს წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს და ერთად მიღებული იქნება სტუ-სთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. ალბათ ჩვენ იჯარით გაცემაზე მომავალში თავი უნდა შევიკავოთ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: გვაქვს პოზიცია, რომ ფართებს, რომელთაც უკვე დაუმთავრდათ ან უმთავრდებათ იჯარის ვადა, ჩვენ აღარ გავაიჯარებთ. რამდენიმე მოიჯარე თავად დატოვა ფართი, ხოლო რაც შეეხება იმ იჯარის ხელშეკრულებებს, რომელთა ვადაც ჯერ არ ამოწურულა, არ გვაქვს უფლება

ვადაზე ადრე შევუწყვიტოთ ხელშეკრულება, ამიტომაც ისინი აგრძელებენ ჩვენთან ყოფნას.

პროფ. გივი გოლეტიანი: სამართლებრივი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით თუ არსებობს საშიშროება დაკარგოთ ეს ფართები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: თეორიული შანსი არსებობს ყველაფრის, რადგან ყველა ფართი არის მაინც სახელმწიფოს საკუთრება, მაგრამ ამაზე საუბარი, როგორც ვიცი, არ არის.

პროფ. დავით ჯაფარიძე: თუ ხელშეკრულებას შევწყვეტთ, რა ჯარიმა გვეკისრება? არ შეგვიძლია შევუწყვიტოთ აღნიშნული ხელშეკრულებები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ამისთვის უნდა არსებობდეს სერიოზული არგუმენტი.

სპიკერი: თუ იქნება საფრთხე ფართების დაკარგვისა, და ალბათ ყველა მოიჯარე ეცდება ეს შანსი გამოიყენოს, ხომ არ გვირჩევნია გადავიხადოთ ჯარიმები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: თუ კი შევწყვეტთ ხელშეკრულებებს, კანონის გათვალისწინებით ჩვენ მათ უნდა მივცეთ 2 თვის ვადა ჩვენგან წასასვლელად. ამ დროისთვის უკვე 2012 წელიც მოვა, როცა ჩვენ უნდა გადავიდეთ კერძო იურიდიული პირის სტატუსზე. ასე რომ, თუ სახელმწიფო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ესა თუ ის ფართი ტექნიკური უნივერსიტეტისათვის არ არის სასიცოცხლო მნიშვნელობის და მას უფრო მომგებიანად გამოიყენებს, მაინც წაიღებს.

სპიკერი: ეს საკითხი რომ არ დარჩეს რეაგირების გარეშე, აკადემიურ საბჭოს მიემართოთ თხოვნით: იმასთან დაკავშირებით, რომ იცვლება ჩვენი სამართლებრივი ფორმა, საკითხი შესწავლილ იქნეს კომისიური წესით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს ბიბლიოთეკის დებულების მე-14 პუნქტის ცვლილების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №503 – მომხსენებელი პროფ. ვაჟა პაპასკირი.

პროფ. ვაჟა პაპასკირი: გთხოვთ, სტუ-ს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაცვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამავე ბიბლიოთეკის დებულების მე-14 პუნქტის შეცვლა და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საბიბლიოთეკო ფონდიდან წიგნის (ჟურნალის) დაკარგვის შემთხვევაში აბონენტი ბიბლიოთეკას ზარალს უნაზღაურებს თანხის გადახდით. თანხის

რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით: დაკარგული ერთეულის ღირებულებას დამატებული 50 (ორმოცდაათი) ლარი“.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №15 სხდომაზე პროფ. ვაჟა პაპასკირმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიბლიოთეკის დებულების მე-14 პუნქტის ცვლილების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 ივლისის დადგენილება № 503.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა, რომ სტუ-ის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაცვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამავე ბიბლიოთეკის დებულების მე-14 პუნქტის შეცვლა და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საბიბლიოთეკო ფონდიდან წიგნის (ჟურნალის) დაკარგვის შემთხვევაში აბონენტი ბიბლიოთეკას ზარალს უნაზღაურებს თანხის გადახდით. თანხის რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით: დაკარგული ერთეულის ღირებულებას დამატებული 50 (ორმოცდაათი) ლარი“.

ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, დადგენილი წესით შეტანილ იქნეს შესაბამისი შესწორება „სტუ-ის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებში“.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს „საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება № 540 – მომხსენებელი პროფ. დავით კაპანაძე.

პროფ. დავით კაპანაძე: შარშან რექტორის ბრძანებით ფიზიკასა და მათემატიკაში ყველა სტუდენტი აბარებდა გამოცდებს კომპიუტერული ტესტირების საშუალებით. ამ სისტემამ გაამართლა და სტუდენტებიც საკმაოდ კეთილგანწყობილნი არიან მის მიმართ. ამიტომ შეიძინეს დამატებითი ტექნიკა, რომ გაფართოებულიყვნენ და საშუალება ჰქონოდათ სხვა საგნებშიც ანალოგიური სისტემა დაენერგათ, რა თქმა უნდა, თუ კათედრები ჩათვლიან საჭიროდ და ექნებათ სურვილი ასეთი სტილით ჩაატარონ გამოცდები. გეტყვით, რომ აქამდე

ემუშაობდით დროებით შექმნილი ჯგუფით, რითაც ტექნიკურად ვახორციელებდით ფიზიკოსების და მათემატიკოსების მიერ შედგენილი ტესტური დავალებების უშუალოდ ჩატარებას კომპიუტერების საშუალებით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნება მუდმივი თანამშრომლებიანი ცენტრი, რომელსაც დაახლოებით 5 საშტატო ერთეული დასჭირდება, ხოლო უშუალოდ ტესტირების პერიოდში ხელშეკრულების საშუალებით ზედამხედველები, კურატორები და დამკვირვებლებიც იქნებიან გაფორმებული.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ბატონო დავით, გაკეთებული გაქვთ თუ არა ხარჯთაღრიცხვა, ან იცით თუ არა, რა რაოდენობის ხელფასები უნდა გასცეთ? მხოლოდ ამ გათვლების შემდეგ შეუძლია ფუნქციონირება ცენტრს.

პროფ. დავით კაპანაძე: მსგავსი გათვლები არ იყო ჩვენი მოვალეობა, ზოგადად კი ვითხოვთ 5 საშტატო ერთეულს.

სპიკერი: ბატონო დავით, იდეას მივესალმებოდ და მხარს ვუჭერთ, მაგრამ წარმომადგენლობით საბჭოზე, ძირითადად, ვიხილავთ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს, თუ როგორაა თანხები მოძიებული ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად. ამიტომ, როგორც ვხედავ, ფინანსურად უზრუნველყოფაზე თქვენ არ გიმუშავიათ, მხარს ვუჭერთ, მაგრამ ფინანსური გათვლები აუცილებლად უნდა ჩაატაროთ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან მიიღოთ თანხმობა, რომ ეს თანხები მოძიებულია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის №15 სხდომაზე პროფ. დავით კაპანაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება № 540.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-ს „საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ასევე, ეთხოვა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსები გაითვალისწინოს 2012 წლის ბიუჯეტში.

სპიკერი: განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის პროფ. ნ. წერეთლის მოხსენებით ბარათს. აკადემიური საბჭოს დადგენილება №545.

პროფ. ნაზიბროლა კუციავა: ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში დამტკიცდეს შემდეგი დეპარტამენტები:

1. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დეპარტამენტი;
2. გარემოს დაცვის ინჟინერიის დეპარტამენტი;
3. სასურსათო ტექნოლოგიის დეპარტამენტი;
4. ქიმიის დეპარტამენტი;
5. მასალათმცოდნეობის დეპარტამენტი;
6. მეტალურგიის დეპარტამენტი;
7. ფარმაციის დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

სპიკერმა, პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი